საქართველოს იუსტიციის მინისტრი

ბრძანება №348

KA010154759079221

30 / ივლისი / 2021 წ.

თბილისი

საგრანტო პროგრამა №001-2021-ის – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“ – ფარგლებში საგრანტო საბჭოსა და საგრანტო საბჭოს აპარატის შექმნის შესახებ

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის №389 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №160 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-13 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივლისის № 347 ბრძანებით დამტკიცებული საგრანტო პროგრამა № 001-2021-ის – „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერება, ინოვაციური სერვისების დანერგვა, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ხელშეწყობა და დანაშაულის ეფექტიანი პრევენცია“ – ფარგლებში შეიქმნას საგრანტო საბჭო (შემდგომ – საბჭო) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **თორნიკე ჭეიშვილი** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

ბ) **ვალერი ლომუაშვილი** – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;

გ) **გიორგი გიორგაძე** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის მოადგილე;

დ) **ოთარ ჩახუნაშვილი** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „იუსტიციის სახლის“ აღმასრულებელი დირექტორი;

ე) **ზურაბ სანიკიძე** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე;

ვ) **თამარ როსტიაშვილი** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

ზ) **მანანა ბეგიაშვილი** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი).

2. საბჭოს სარეზერვო წევრები არიან:

ა) **ნატალია მახვილაძე** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;

ბ) **ნიკოლოზ ხორბალაძე** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი);

გ) **ოლეგ თორთლაძე** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის მოადგილე.

3. საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში კონკურსის შედეგად გამარჯვებულის გამოვლენისა და მასთან ხელშეკრულების დადების დღემდე.

4. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით საბჭოს აპარატის ფუნქციების შესრულება დაევალოთ:

ა) **თორნიკე არჯევანიძეს** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროს სპეციალისტს;

ბ) **თამარ ლომიძეს** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტს (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი).

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რატი ბრეგაძე